ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4687014

ნომერი: AR1706364

თარიღი : 13.09.2019

გაცემის თარიღი : 26.09.2019

გაცნობის თარიღი : 26.09.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე იბერის ქუჩა, N 26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მიმინოშვილი პ/ნ 01015001043
- თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 13 სექტემბერს №AR1706364 განცხადებით მომართა ვალერი მიმინოშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა, №26-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.203), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2019 წლის 05 სექტემბრის №4658433 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი: 19930.57 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 3301.99 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 4715.39 კვ.მ, ასევე, დაემატა საოფისე ფართობი: 283.89 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობი: 5525.9 კვ.მ, საერთო ფართობი: 36132.91 კვ.მ. სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 02 სექტემბრის №AR1704034 განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელს სურს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ბლოკებად დაყოფა (ა,ბ,ც,დ) და ტექნიკურ-ეკონომკური მაჩვენებლების ბლოკების მიხედვით ცალკ-ცალკე დაფიქსირება.
განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი, რომელიც ერთიანად მოიცავს მთლიანი კომპლექსის არქიტექტურულ გეგმარებით და ტექნიკურ-ეკონომიკურ მონაცემებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი არ ითვალისწინებს მის ბლოკებად დაშლას, იგი საჭიროებს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან არ არსებობს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებივ აქტში ცვლილების შეტანის სამართლებრივი საფუძველი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება 2019 წლის 29 მაისის №4521762 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.